THE SYNTHESIS OF UTOPIAN, DYSTOPIAN AND ROBINSONADE GENRES IN BRITISH LITERATURE.

უტოპიის, დისტოპიის და რობინზონადას ჟანრთა სინთეზი ბრიტანულ ლიტერატურაში.

Tamta Kelenjeridze
Ph.D. Candidate,
Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, 6010, 32/35 Rustaveli/Ninoshvili st,Georgia
+995591091915, Tatia.kelenjeridze@gmail.com
https://orcid.org/0009-0002-2204-4170

Abstract. Robinsonade, as a literary genre traces its origin, with the publication of Daniel Defoe's novel "Robinson Crusoe" (1719).

The main idea of this genre focuses on the individuals' survival, their adaptation to the environment and the formation of the new world."

Utopia depicts an ideal, perfect society, where harmony and stability come first. whereas dystopia focuses on the destructive consequences of scientific and technological progress. Additionally, it centers on the depiction of the future world.

The article aims to analyse the developmental stages of the Robinsonade genre, based on the perspectives of various authors. For instance, William Golding's novel ,,Lord of the Flies" represents a dystopian interpretation of Robinsonade, as the author portrays the violent behaviour of a society, that exists beyond civilization and established norms.

Aldous Huxley's novel describes a dystopian vision of the future, where freedom and individuality are restricted by the state.

The topics discussed in the article are important because each genre has undergone some changes over the centuries. For example, the classic Robinsonade emphasized the necessity of a harmonious connection with nature and regarded civilization as the only path to survival. In contrast, modern dystopias portray nature as a threatening environment, while civilization, technological and scientific progress are seen as the main sources of social degradation.

Thus, by comparing the genres of utopia, dystopia and Robinsonade, we can draw the following conclusion: The variability of time has shaped the evolution of literature genres and society. Initially marooned humans attempted to coexist harmoniously with nature. Subsequently, they chose to repudiate all established norms and exploited their authority. Ultimately they constructed an entirely new civilization, predicated on technology and detached from the nature.

Key words: Utopia; Dystopia; Robinsonade; Future World; Island; Society.

თამთა კელენჯერიძე
დოქტორანტი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. No32/35, 6010, საქართველო,
+995591091915, Tatia.kelenjeridze@gmail.com
https://orcid.org/0009-0002-2204-4170

აბსტრაქტი. რობინზონადა, როგორც ლიტერატურული ჟანრი, დანიელ დეფოს რომანის „რობინზონ კრუზოს“ (1719) გამოქვეყნებასთან ერთად იღებს სათავეს. ჟანრის მთავარი არსი ინდივიდთა გადარჩენაზე, გარემოსთან ადაპტაციასა და ახალი სამყაროს შექმნაზე არის ფოკუსირებული. უტოპია იდეალურ და სრულყოფილ საზოგადოებას გვიჩვენებს, სადაც პირველ რიგში ჰარმონია და სტაბილურობაა წარმოდგენილი. ხოლო დისტოპია მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესის დამანგრეველ შედეგებზე კონცენტრირდება. გარდა ამისა, ყურადღებას მომავლის სამყაროს აღწერაზე ამახვილებს.

წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხები მიზნად ისახავს რობინზონადის ჟანრის განვითარების ეტაპების მიმოხილვას. რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა ავტორის ხედვაზე. მაგალითად, უილიამ გოლდინგის რომანი „ბუზთა ბატონი“ რობინზონადის დისტოპიური ინტერპრეტაციაა. რადგან მწერალი ცივილიზაციის და წესებს მიღმა დარჩენილი საზოგადოების ძალადობრივ ქმედებებს აღწერს. ოლდოს ჰაქსლის რომანი კი მომავლის დისტოპიურ საზოგადოებას გვიჩვენებს, სადაც თავისუფლება და ინდივიდუალიზმი სახელმწიფოს მიერ არის შეზღუდული.

ნაშრომში განხილული თემები მნიშვნელოვანია, რადგან თითოეული ჟანრი საუკუნეების მანძილზე განიცდიდა მოდიფიკაციას. მაგალითად, კლასიკური რობინზონადა ბუნებასთან ჰარმონიული კავშირის აუცილებლობაზე საუბრობდა. ხოლო გადარჩენის ერთადერთ გზად ცივილიზაციას მიიჩნევდა. თანამედროვე დისტოპიაში კი ბუნება საფრთხის შემცველ სივრცედ განიხილებოდა. ხოლო ცივილიზაცია, ტექნოლოგიური და მეცნიეურული პროგრესი კი საზოგადოების დეგრადაციის ძირითად წყაროდ იყო მიჩნეული.

ამრიგად, რობინზონადის, უტოპიის და დისტოპიის ჟანრთა შედარების საშუალებით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: დროის ცვალებადობამ, როგორც ლიტერატურული ჟანრების ტრანსფორმაციას, ასევე საზოგადოების გარდაქმნას შეუწყო ხელი. თავდაპირველად, მარტოდ დარჩენილმა ადამიანებმა, ბუნებასთან ჰარმონიულად თანაცხოვრება სცადეს. შემდეგ წესების უარყოფა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება აირჩიეს. საბოლოოდ კი სრულიად ახალი ბუნებისგან შორს მდგომი, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ცივილიზაცია შექმნეს.

საკვანძო სიტყვები: უტოპია; დისტოპია; რობინზონადა; მომავლის სამყარო; კუნძული; საზოგადოება.

შესავალი. რობინზონადას, როგორც ლიტერატურულ ჟანრს, საფუძველი ჩაეყარა მას შემდეგ, რაც დანიელ დეფოს რომანი „რობინზონ კრუზო“ გამოიცა 1719 წელს. მას შემდგომ მე-19 და მე-20 საუკუნეების განმავლობაში არაერთი მსგავსი შინაარსობრივი თხზულება შეიქმნა. მათ ინტერპრეტაცია პოვეს არა მარტო წიგნებსა თუ თეატრალურ დადგმებში, არამედ სხვადასხვა ფილმებშიც.

უტოპია ჰარმონიული, იდეალური და სრულყოფილი სამყაროს მოდელია, რომელშიც საზოგადოება ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე ცხოვრობს.

დისტოპია, უტოპიური სამყაროსა და ლიტერატურული მიმდინარეობის სრულიად საპირისპირო მოდელია. ის დაახლოებით ერთი საუკუნის წინ წარმოიშვა და ასახავს სახეცვლილ საზოგადოებრივ წყობასა და სახელმწიფოს სურვილებზე მორგებულ ახლებურ ხედვას. მისი მთავარი დანიშნულება საზოგადოების გაფრთხილებაა. თუ როგორი შეიძლება იყოს მომავლისეული სამყარო და მასში მცხოვრები ადამიანი. მსგავსი ცვალებადობა განპირობებულია ისეთ ფაქტორთა უშუალო ზემოქმედებით, როგორებიცაა:

1. ტექნოლოგიურ-სამეცნიერო ცდები.
2. გაუთავებელი ომები.
3. ტოტალიტარული რეჟიმი.
4. ცივილიზაციისა და ბუნებისგან განცალკევება.

შესაბამისად, ჩვენი სტატია ეხება ლიტერატურულ ნაწარმოებებში რობინზონადის, უტოპიის და დისტოპიის ურთიერთქმედებას. თითოეული ჟანრის გავრცელებას და მათ აღქმას სხვადასხვა კულტურულ ეპოქაში.

ნაშრომში ასევე განვიხილავთ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ, გადარჩენისთვის მებრძოლ ინდივიდებს. მათი განვითარების გზებსა და ადაპტაციის უნარს, როგორც იზოლირებულ, ისე ცივილიზებულ სამყაროში. აღნიშნული საკითხების ანალიზი დაფუძნებულია, რამდენიმე ავტორის განსხვავებულ ხედვაზე, როგორებიც არიან:

1. დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“.
2. ჯორჯ ბალანტაინის „მარჯნის კუნძული“.
3. უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონი“.
4. ოლდოს ჰაქსლის „საოცარი ახალი სამყარო“.

მეთოდები. ნაშრომზე მუშაობისას მივმართეთ ისტორიულ-შედარებით ანალიზს, კრიტიკულ-ანალიტიკურ მეთოდებს და სოციო-კულტურულ ანალიზს. გარდა ამისა კვლევის წარმოებისას გამოვიყენეთ სხვადასხვა ლიტერატურული სტატიები და შრომები.

შედეგები და მსჯელობა. რობინზონადა, უტოპია და დისტოპია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ლიტერატურული ჟანრებია, რომლებშიც გამოგონილი გარემოა აღწერილი. თითოეული მწერალი ალტერნატიულ რეალობას გვთავაზობს. მათი მიზანია, ნათლად წარმოსახონ თუ როგორ აისახება დროის ცვალებადობა, ცივილიზაცია და განსხვავებული გარემო საზოგადოებაზე.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ამ ჟანრების გადაკვეთა, მაგრამ მათი სრული სინთეზი შედარებით ნაკლებად არის განხილული. მაგალითად, უილიამ გოლდინგის “ბუზთა ბატონი” შეიძლება განვიხილოთ დისტოპიური რობინზონადას კუთხით, რადგან იზოლირებულ გარემოში მოქცეული ბავშვები, დესტრუქციულ სისტემას ქმნიან.

ამის პარალელურად, ოლდოს ჰაქსლის ,,საოცარ ახალი სამყარო” დგას, რომელიც განსხვავდება რობინზონადის ჟანრისგან, თუმცა საერთოც ბევრია. მაგალითად როგორც რობინზონს, ასევე ,,ველურ ჯონს”, უწევთ ახალ გარემოში გადარჩენა, თავისუფლებისათვის ბრძოლა და ინდივიდუალიზმის შენარჩუნება.

ბოლო პერიოდში რობინზონადა, დისტოპია და უტოპია ახალ შინაარსს იძენს. განსაკუთრებით ტექნოლოგიური პროგრესისა და გლობალური ცვლილებების პირობებში. თუ ტრადიციული რობინზონადა ადამიანს ბუნებისკენ უბიძგებდა და სწორედ იქ პოულობდა სიმშვიდეს, დისტოპიურ ინტერპრეტაციებში ეს სრულად იცვლება. მაგალითად დისტოპიურ რომანებში ბუნება არასტერილურ გარემოსთან ასოცირდება. თითქოს ის სახეცვლილი და საფრთხის შემცველია. „ცივილიზაცია სტერილიზაციაა“. (ჰაქსლი, 2013, გვ. 53)

თუ კლასიკურ რობინზონადაში ადამიანი მიისწრაფოდა ბუნებასთან ჰარმონიულად შერწყმისკენ, თანამედროვე დისტოპიურ ინტერპრეტაციებში ის ემორჩილება ტექნოლოგიურად მართულ სისტემას.

ეს ცვლილება თვალნათლივ მიუთითებს რობინზონდასა და უტოპიის ჟანრის მოდიფიკაციას. რაც ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის რადიკალურ ტრანსფორმაციას ეყრდნობა. საკითხის უფრო ჩაღმავების შედეგად ნათელი ხდება რამდენიმე ფაქტი.

1. თანამედროვე ეპოქაში უტოპიისა და რობინზონადას ადგილი აღარაა.
2. გლობალური პრობლემები წინა პლანზეა წამოწეული.
3. ადამიანი არა ბუნებაზე, არამედ ხელოვნურ ინტელექტსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული.

საინტერესოა ის ფაქტიც რომ ტექნოლოგიურ-მეცნიერული ცვლილებები არამარტო ლიტერატურულ ნაწარმოებებში, არამედ რეალობაშიც გვხვდება. მაგალითისთვის "humanoid" რობოტები. რაც მანიშნებელია, რომ საზოგადოება მთლიანად დაშორდა უტოპიურ საწყისებს და სრულიად დისტოპიურ მომავალში შეაბიჯა. შესაბამისად თანამედროვე ადამიანის ადგილი უტოპიურ და რობინზონისეულ სამყაროში აღარაა.

ასე რომ, ჩვენს ნაშრომში განხილულ სამ სხვადასხვა ჟანრთა კომბინაცია საშუალებას იძლევა, ერთდროულად გამოიკვლიოს ადამიანის, საზოგადოების და გარემოს ურთიერთქმედება დროსა და სივრცეში. გარდა ამისა, პარალელები გაავლოს, როგორც გამოგონილ ლიტერატურასთან, ასევე რეალობასთან.

მაშასადამე, რობინზონადა იდიალური სამყაროს შექმნის ერთერთი საშუალებაა. ის გვაჩვენებს, თუ როგორ ხედავს მაძიებელი გმირი სამყაროს მაშინ, როდესაც იგი თავისუფალია კანონებისა და ცივილიზაციისგან. მაგალითად, რობინზონ კრუზო არ ივიწყებს რწმენას, მარტოდ დარჩენილი იბრძვის და აშენებს ადგილს, სადაც ცხოვრება უკვე შესაძლებელია. ფიქრობს მომავალზე, რისი მაგალითიცაა საკვების წინასწარ მომარაგება, თხების მოშინაურება, ფიქრი და გამოსავლის ძიება ანუ თვითგადარჩენისთვის ბრძოლა. „გადავწყვიტე, მთელი გემი ნაწილ-ნაწილ გადამეზიდა ნაპირზე; ვიცოდი, რომ თავის დროზე ყველაფერი გამომადგებოდა" (დეფო, 2022, გვ. 57)

რობინზონადა უტოპიურად აღწერილი იდეალური სამყაროს მაგალითია. რომლის საშუალებითაც შესანიშნავად წარმოჩნდება, როგორც მარტო ყოფნის დადებითი მხარეები, ასევე რწმენისა და შეუპოვრობის შედეგები. რაც ხაზს უსვამს ნაწარმოების მთავარ სათქმელს - ადამიანს თავისი დაუღალავი შრომით შეუძლია ახალი სამყაროს შექმნა. თუნდაც ცივილიზაციისგან მოშორებით მოუწიოს არსებობა.

„მთელი კუნძულის ბატონ-პატრონი ვიყავი. თუკი მოვისურვებდი, შემეძლო სამფლობელოს მეფედ ან იმპერატორად გამომეცხადებინა თავი". (დეფო, 2022, გვ. 81)

ნაწარმოებში ბუნება გადარჩენის და სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსების ძირითადი წყაროა. რობინზონი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მაძიებელმა გმირმა მოიპოვოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრება.

აღსანიშნავია, რომ ეს იდეა რომანტიზმის მიმდინარეობას უკავშირდება. რადგან მიუხედავად მარტოობისა, სწორედ ბუნებასთან ურთიერთობით პოულობს რობინზონი სიმშვიდეს და გადარჩენისთვის აუცილებელ რესურსებს. (Nkjwo, 2015)

რობინზონადას გაგრძელებას წარმოადგენს უტოპიური ჟანრის ნაწარმოები რობერტ ბალანტაინის „მარჯნის კუნძული". (Ballantyne, 2007) ბალანტაინმა შეძლო აღეწერა იდეალური, სამოთხის მსგავსი ადგილი, სადაც არის წყალი, საკვები და თავშესაფარი. ანუ ყოველივე ის, რაც გადარჩენისთვისა და ჰარმონიული სამყაროსთვის არის საჭირო. ეს არის კუნძული, სადაც ბავშვები დღეებს თამაშსა და ერთმანეთზე ზრუნვაში ატარებენ.

"Yes, we loved one another with much fervency while we lived on that island; and, we love each other still" (Ballantyne, 2007)

„დიახ, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი მთელი გულით, სანამ ვცხოვრობდით კუნძულზე; და დღემდე გვიყვარს ერთმანეთი"

რომანში განვითარებული მოვლენები, მთლიანად ვიქტორიანული ეპოქის იდეალებისა და ღირებულელების მკაფიო გამოხატულებაა. (Bengtsson, 2012)

მაგალითად:

1. ბავშვები ანგელოზის მსგავსი, უცოდველი არსებები არიან.
2. მკაცრად დადგენილი წესების პატივისცემა. მიუხედავად ცივილიზაციისგან შორს ყოფნისა, ნაწარმოების გმირები, მაინც არ ივიწყებენ წესრიგის აუცილებლობას.
3. ქრისტიანობის ზეგავლენა.
4. სოციალური იერარქია. რისი ნათელი მაგალითიცაა კუნძულზე არჩევნების ჩატარება და ხმის მიცემა.

"I vote that we row to the reef," cried Peterkin.

"And I vote that we visit the islands within the lagoon," said I.

"And I vote we do both," cried Jack; "so pull away, boys!" (Ballantyne, 2007, გვ. 103)

„მე ხმას ვაძლევ, რომ რიფისკენ გავცუროთ - შესძახა პეტერკინმა.

„და მე ხმას ვაძლევ, რომ კუნძულები მოვინახულოთ ლაგუნაში", - ვთქვი მე.

„და მე ხმას ვაძლევ, რომ ორივე გავაკეთოთ - შესძახა ჯეკმა; „ასე რომ გაინძერით ბიჭებო!"

რობინზონადის და უტოპიის ჟანრის გაგრძელებას, უილიამ გოლდინგის რომანი „ბუზთა ბატონი" წარმოადგენს. მწერალი თავდაყირა აყენებს რობინზონადის ჟანრობრიობის სრულყოფილებას. იგი უარყოფს კუნძულის უზენაესობას და ინგლისის წესჩვეულებებს. სანაცვლოდ კი რეალობასთან უფრო ახლოს მდგომ ნაწარმოებს გვთავაზობს . „ბუზთა ბატონის" საშუალებით, გოლდინგი ცდილობს, მხოლოდ ფორმალური ელემენტებით (კუნძული) გაავლოს ზღვარი მის წინამორბედ ავტორებთან და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ადამიანის სრულფასოვნება, მასში არსებული სიკეთე და მორალური სიწმინდეების მნიშვნელობა. გარდა ამისა, რომანის ერთ-ერთი მიზანი „მარჯნის კუნძულსა" და „რობინზონ კრუზოზე" არსებული იდილიის და ვიქტორიანული ეპოქის წინააღმდეგ გალაშქრებაა. უილიამ გოლდინგმა რობინზონადის განსხვავებული ვერსია შემოგვთავაზა. მან კუნძული არათუ სამოთხესთან, არამედ დაბრკოლებებით და ეშმაკით გარშემორტყმულ ადგილთან გააიგივა. ხოლო პერსონაჟთა ასაკობრივი ზღვარი მინიმუმამდე დაიყვანა. რისი საშუალებითაც გვაჩვენა, რომ ბავშვები აღარ არიან უცოდველი არსებები. ხოლო თითოეულ ადამიანში შეიძლება იმალებოდეს „ბუზთა ბატონი" იგივე „ბელზებელი" - ურჩხული.

ყოველივე ზემოთქმულის საშუალებით, მწერალი გვაჩვენებს თუ რა შეიძლება სინამვილეში გააკეთოს ადამიანმა, როდესაც წესებისა და ცივილიზაციის მიღმა რჩება. შესაბამისად დისტოპიურ რომანში წინა პლანზე ადამიანში არსებული ურჩხული გადმოდის და ძალაუფლების, სხვებზე ბატონობის სურვილი იღვიძებს. გოლდინგმა აღწერა ადამიანის რეალური სახე, რომელიც ცივილიზაციის, კანონიერების და ღირებულებების გარეშე რჩება. ამგვარ გარემოში კი ის ძალაუფლებისთვის ნებისმიერ ფასად ილტვის. „ახლა რასაც გეტყვით, წესად უნდა იქცეს, იმიტომ, რომ ბელადი ვარ" (გოლდინგი, 2021, გვ. 82)

აქ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ბუზთა ბატონი" მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ზუსტად 9 წელში გამოვიდა. შესაბამისად, ორ მსოფლიო ომ გამოვლილ საზოგადოებას უტოპიური ადგილის არსებობის აღარ სჯეროდა. შესაბამისად „ბუზთა ბატონი" რეალობისთვის თვალის გასწორებისა და მის წინააღმდეგ სიმართლის ფორმით გალაშქრების გზა იყო.

დისტოპიის ხაზის გაგრძელებას ოლდოს ჰაქსლი რომანი „საოცარი ახალი სამყარო“ წარმოადგენს. რომანში სამყაროს ცვალებადობა ადამიანებზე აისახება. მაგალითად, წარსულში მომხდარმა გამანადგურებელმა მოვლენებმა (ომებმა) კაცობრიობა შეცვალა. მათ ღმერთი ფორდით ჩაანაცვლეს და ახალი ასწლეულის ათვლა დაიწყეს. გარდა ამისა, წიგნები, ბუნება და სიყვარული ჰიპნოპედიის გაკვეთილებით შეაძულეს ინკუბატორში „გამოჩეკილ“ ბავშვებს. ხოლო ოჯახის ინსტიტუტი სრულად უარყვეს.

„თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ საზარელი, ბარბაროსული ცოცხალმშობიარობის ეპოქაში ბავშვებს მშობლები ზრდიდნენ და არა სახელმწიფო აღმზრდელობითი ცენტრები“. (ჰაქსლი, 2013, გვ. 15)

პრობლემა, რომელსაც ოლდოს ჰაქსლი დისტოპიური ჟანრის საშუალებით აგვიღწერს უკავშირდება სამყაროს შეცვლის, ანტიუტოპიური მომავლის ხედვასა და ისეთი ადგილის შექმნას, რომელიც საზიანოა საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, მოსაზრება, რომ უტოპიური სამყარო და ბუნება ადამიანისთვის სასიკეთოა უარყოფილია. მაგალითად, რომანში კუნძული არასტერილურ, ცივილიზაციას მოკლებულ ინდიელთა რეზერვაციის ადგილადაა ქცეული.

დასკვნა. ამრიგად, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რობინზონადის, უტოპიის და დისტოპიის ჟანრებს როგორც საერთო, ასევე განსხვავებაც ბევრი ჰქონდათ. თითოეული ლიტერატურული მიმდინარეობა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა. მწერლების სათქმელი კი დროის ცვალებადობასთან ერთად განსხვავდებოდა. დანიელ დეფოსა და რობერტ ბალანტაინისთვის მაძიებელ გმირთა თავგადასავალი ბედნიერი დასასრულით და ბუნებასთან შერწყმით სრულდებოდა. ისინი კანონის, სამართლის და რელიგიის უზენაესობას უსვამდნენ ხაზს. უილიამ გოლდინგის მთავარ მიზანს რობინზონადისა და უტოპიის იდეოლოგიის წინააღმდეგ გალაშქრება წარმოადგენდა. მას მოჩვენებითი იდილიის აფსურდულობა, ცივილიზაციის და წესებს მიღმა დარჩენილი ადამიანის რეალური ბუნება გამოჰქონდა სააშკარაოზე. რაც შეეხება ოლდოს ჰაქსლს, ის მკითხველს სინამდვილის დანახვისა და „გამოღვიძებისაკენ” მოუწოდებდა. მისი მთავარი ამოცანა ტექნოლოგიებით მართული სამყაროს დამანგრეველი შედეგების ხაზგასმა იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

გოლდინგი, უ. (2021). *ბუზთა ბატონი.* თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.

დეფო, დ. (2022). *რობინზონ კრუზოს თავგადასავლი.* თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.

ჰაქსლი, ო. (2013). *საოცარი ახალი სამყარო.* თბილისი: გამომცემლობა „სიესტა“.

Ballantyne, R. (2007). *The Coral Island.* Project Gutenberg.

Bengtsson, J. (2012). *Colonising The Coral Island.* Retrieved from https://gupea.ub.gu.se/bitstream/handle/2077/29485/gupea_2077_29485_1.pdf?sequence=1

Nkjwo. (2015). *Romanticism and nature.* Retrieved from Environmental History Resources: https://www.eh-resources.org/author/dadjao/

REFERENCES

goldingi, u. (2021). *buzta bat'oni [Lord of the flies].* Tbilisi: Sulakauri Publishing.

depo, d. (2022). *robinzon k'ruzos tavgadasavli [Robinson Crusoe].* Tbilisi: Sulakauri Publishing.

haksli, o. (2013). *saotsari akhali samqaro [Brave new world].* Tbilisi: Publishing House „Siesta“.

Ballantyne, R. (2007). *The Coral Island.* Project Gutenberg.

Bengtsson, J. (2012). *Colonising The Coral Island*. Retrieved from https://gupea.ub.gu.se/bitstream/handle/2077/29485/gupea_2077_29485_1.pdf?sequence=1

Nkjwo. (2015). *Romanticism and nature*. Retrieved from Environmental History Resources: https://www.eh-resources.org/author/dadjao/